

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №6

ქ. გარდაბანი

28 ივნისი 2024 წელი 13:00 სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი:

ზაზა ონიანი	მირზა მირზოევი
დავით ჭინჭარაული	ფლორა ასკაროვა
სახმან მირზოევი	ლევან ნიჟარაძე
რასიმ ისაევი	მაია შამედოვა
კამრან ბაბაევი	ლაშა ქართლოსიშვილი
ბეთქილ კახიანი	ლია მეტრეველი
ისლამ მამედოვი	ლევან ბეგლარიშვილი
ტარიელ ჯანხოთელი	გუსეინკულუ მუსაევი
დავით ებილაშვილი	აბდულალი იბრაგიმოვი
თორნიკე ქავთარაძე	ზურაბ კორახაშვილი
თამარ ხაჩიძე	

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატი) ხელმძღვანელი - ოთარ გავაშელიშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატი) ხელმძღვანელის მოადგილე - ნაია დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება) ხელმძღვანელი - ნინო დათუაშვილი;

ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის დირექტორი - ლევან მენახშირიშვილი.

დღის წესრიგი:

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ლაშა ქალდანის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ბადრი ბედიანაშვილის, დავით ლორიაშვილისა და გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ზურაბ ბენდელიანი

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

სხდომის თავმჯდომარემ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ - მიხეილ გედეხაურმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა. საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად.

დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ლაშა ქალდანის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ბადრი ბედიანაშვილის, დავით ლორიაშვილისა და გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ზურაბ ბენდელიანი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი-„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, მანვე განმარტა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქართულ ჭიდაობაში საქართველოს აბსოლუტურ ფალავნობასთან დაკავშირებით საჭიროა შევიდეს ცვლილება და საკრებულოს წევრებს განსახილველად წარუდგინა ცვლილების პროექტი, კერძოდ დადგენილების დანართის-„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესი“-ს მეოთხე მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შემდეგი რედაქციით:

„2. ქართულ ჭიდაობაში, საქართველოს აბსოლუტურ ფალავნობაზე:

პირველი ადგილი - არაუმეტეს 3000 ლარისა;

მეორე ადგილი - არაუმეტეს 2500 ლარისა;

მესამე ადგილი - არაუმეტეს 2000 ლარისა.“

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა დადგენილებას - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 22
წინააღმდეგი – 0

მიღებულია დადგენილება №17- „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი 2.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ლაშა ქალდანის დაჯილდოების შესახებ“

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი- „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ლაშა ქალდანის დაჯილდოების შესახებ“ და განმარტა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში განსახილველად შემოსულია საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის 2024 წლის 12 ივნისის №559 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2024 წლის 6-9 ივნისს, ბოსნია ჰერცეგოვინაში (ქ. სარაევო) გამართულ ევროპის ჩემპიონატში იაპონიის ძიუდოსტებს შორის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა, ლაშა ქალდანმა (პ.ნ.) 60 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი, მისი მწვრთნელია ვიქტორ შუკვანი (პ.ნ.).

საკრებულოს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N21 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ლაშა ქალდანის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 1500 (ათას ხუთასი) ლარი, ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ლაშა ქალდანის დაჯილდოების შესახებ“.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 22
წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №54- „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ლაშა ქალდანის დაჯილდოების შესახებ“.

საკითხი 3.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ბადრი ბედიანაშვილის, დავით ლორიაშვილისა და გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ“

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი-„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ბადრი ბედიანაშვილის, დავით ლორიაშვილისა და გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ“ და განმარტა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში განსახილველად შემოსულია საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის 2024 წლის 12 ივნისის №561, №563 და №564 წერილები, სადაც აღნიშნულია, რომ 2024 წლის 6-9 ივნისს, ბოსნია ჰერცეგოვინაში (ქ. სარაევო) გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ვეტერან ძიუდოსტებს შორის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა, ბადრი ბედიანაშვილმა (პ.ნ.) 60 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა, დავითი ლორიაშვილმა (პ.ნ.) +100 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა, გიორგი შინჯიკაშვილმა (პ.ნ.) +100 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი.

საკრებულოს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N21 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: **ბადრი ბედიანაშვილის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 1500 (ათას ხუთასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“, **დავით ლორიაშვილის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 2 000 (ორი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და **გიორგი შინჯიკაშვილის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 1500 (ათას ხუთასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

საკრებულოს სხდომას საკითხის განხილვისას ესწრებოდნენ ვეტერანი სპორტსმენები გიორგი შინჯიკაშვილი და ბადრი ბედიანაშვილი. სხდომის თავმჯდომარემ და საკრებულოს წევრებმა სპორტსმენებს მიულოცეს ევროპის ჩემპიონატზე ვეტერან ძიუდოსტებს შორის მოპოვებული გამარჯვება და უსურვეს წარმატებები.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას-„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ბადრი ბედიანაშვილის, დავით ლორიაშვილისა და გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №55 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ბადრი ბედიანაშვილის, დავით ლორიაშვილისა და გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ“.

საკითხი 4.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ნიჟარაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი-„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ და განმარტა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 თებერვლის N4 დადგენილებით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურება მოხდება განსახილველი განკარგულების პროექტის მიხედვით და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) აუნაზღაურდებათ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული მ/წ ივნისის თვის ხარჯები დანართის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №56 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.

საკითხი 5.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ზურაბ ბენდელიანი არ ესწრებოდა საკრებულოს სხდომას და განკარგულების პროექტი - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს წევრებს წარუდგინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ - ტარიელ ჯანხოთელმა, მანვე განმარტა, რომ პროექტის თანახმად მესამე კვარტალში გათვალისწინებულია შემდეგი გეგმური საკითხების განხილვა.

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის ანგარიშის მოსმენა.

2. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში გარდაბნის მუნიციპალიტეტში 2024 წლის პერიოდში განხორციელებული ინფრასტრუქტურული და სამშენებლო პროექტების შესრულების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –22

წინააღმდეგი –0

მიღებულია განკარგულება №57 -„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

მიხეილ გედეხაური